



2010 წლის 21 ივნისს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპრეზენტაციო დარბაზში გაიმართა ცნობილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ თეიმურაზ მიბჩუანის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულის პრეზენტაცია – საიუბილეო საღამო. აღნიშნულ ღონისძიებაზე, რომელსაც ბატონი თეიმურაზის ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ, ღვაწლმოსილი მკვლევარის საზოგადოებრივ და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ ვრცლად ისაუბრეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფ. ჯ. აფაქიძემ, პროფ. ზ. პაპასქირმა, პროფ. ვ. ჯაფარიძემ, პროფ. ტ. მოსიამ, პროფ. ო. ჟორდანიამ, ცნობილმა მსახიობმა ზ. ქაფიანიძემ და სხვებმა. საღამო მუსიკალურად გააფორმა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა ვ. ოკუჯავას ხელმძღვანელობით.



**თეიმურაზ მიბჩუანი**, მეცნიერი - ისტორიკოსი საკმაოდ ფართო დიაპაზონით, რომელმაც არაერთი საყურადღებო ნაშრომით გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია; შესანიშნავი პედაგოგი, რომელიც ძალიან უყვარდათ სტუდენტებს; პოეტური ნიჭით და ჯილდოებული შემოქმედი; საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთში არაერთი ეროვნული წამოწყების მოთავე; სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი, რომელიც თავის კოლეგებთან და სტუდენტებთან ერთად ბოლომდე იცავდა ცხუმ - აფხაზეთს; თეიმურაზ მიბჩუანი დაიბადა 1940 წლის 19

თებერვალს, მესტიის რაიონის სოფელ მულახში. 1958 წელს თ. მიბჩუანმა წარჩინებით დაამთავრა კოჩარის საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლა განაგრძო მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისის ტორია - ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ გაიარა ასპირანტურის კურსი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

განსაკუთრებულია პროფ. თ. მიბჩუანის ღვაწლი მეცნიერულ აფხაზეთ--მცოდნეობაში. მან საგანგებო მონოგრაფიები მიუძღვნა აფხაზეთის მეფეებსა და მთავრებს, აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლებსა და ეპიგრაფიკას. მან გამოიკვლია აგრეთვე დღევანდელი აფხაზური გვარები და დაადგინა, რომ ამჟამინდელ აფხაზთა დაახლოებით 80% ქართული წარმოშობისაა.

უაღრესად ნაყოფიერი იყო თეიმურაზ მიბჩუანის პედაგოგიური მოღვაწეობა მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ის 1973 წლიდან კითხულობდა

ლექციებს სხვადასხვა საისტორიო დისციპლინებში, იყო აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგის მოადგილე, კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო 1990 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის ძველი მსოფლიოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრის გამგე.

პროფ. თ. მიბჩუანის ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, იტალიურ და ესპანურ ენებზე. შემოქმედებითი კავშირები გააჩნდა გერმანელ და ესპანელ მეცნიერებთან. იყო აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო საზოგადოება „ცოდნის“ აფხაზეთის გამგეობის თავჯდომარე; ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდული სამეცნიერო გამოცემის (წელიწდეულის) „საისტორიო ძიებანის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი; გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.